ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №72

22.12.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ერეკლე კუხიანიძე.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.
5. **ნინო რუხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
6. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

მოწვეული სტუმრები:

1. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
2. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 23-ე მუხლის, ასევე „ქალაქ თბლისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-7 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის სხდომის (ოქმი №4) გადაწყვეტილების

საფუძველზე, **გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა:** ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 17 დეკემბრის №12-03203541-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 დეკემბრის №12-032035623-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 დეკემბრის №12-032035627-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 17 დეკემბრის №12-03203541-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქალბატონმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 16 დეკემბრის №20.1499.1853 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - №0120318614-67(№01203041726-67), №01203432552-67, №01203431852-67(№01203102823-67), №01203391017-67, №01203372600-67).

1) განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0120318614-67(№01203041726-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა №81-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.02.011.024) ნაწილზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, N01.11.02.011.024 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ამასთანავე, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, როგორც №01.11.02.011.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების სტრუქტურის რღვევას.

2) განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01203432552-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.143 და №01.19.21.003.029) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 14 დეკემბრის №01203491340 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ამასთანავე, ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გავრცელებულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ამდენად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს განაშენიანების სტრუქტურის რღვევას.

გარდა ამისა, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.143, №01.19.21.003.029) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

3) განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი)- **№01203431852-67(№01203102823-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დავით გივიშვილის ქუჩა №11, №11ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.040.026-ისა და №01.16.03.040.037-ის ნაწილი; №01.16.03.040.035-ისა და №01.16.03.040.036-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური 2020 წლის 14 დეკემბრის №0120349477 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სატრანსპორტო ზონის გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

აგრეთვე, სატრანსპორტო ზონა გავრცელებულია შენობა-ნაგებობების ნაწილზე და მოთხოვნა უკავშირდება ფაქტობრივად სატრანსპორტო ფუნქციის არმქონე მონაკვეთს. ამასთან, მიმდებარედ არსებული საქვეითე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა დამაკმაყოფილებელია და მოთხოვნილი ზონის ცვლილება სატრანსპორტო ზონის ან/და გზის კონფიგურაციის ცვლილებას არ გამოიწვევს.

4) განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) **№01203391017-67 განცხადებით,** ქალაქ

თბილისში, ჰეიდარ ალიევის სახელობის მარჯვენა სანაპირო N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.108) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა და ძირითადი რუკით არსებული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის (სსზ) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2020 წლის 9 დეკემბრის №18-0120344661 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.10.13.016.108 ნაწილზე) მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა და მიწის ნაკვეთზე მთლიანად გავრცელდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ) .

5) განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) **№01203372600-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.34.003.174; №01.19.34.003.173; №01.19.34.003.172) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6). აგრეთვე მინდებარე ტერიტორია ხასიათდება მაღალი ინტენსივობის განაშენიანებით, სადაც ფიქსირდება მაღალსართულიანი შენობა-ნაგებობები.

აღნიშნული ცვლილების შედეგად რუკაში წარმოქმნილი ხარვეზების გასწორების მიზნით №01.19.34.003.174, №01.19.34.003.173 და №01.19.34.003.172 საკადასტრო ერთეულების მიმდებარედ არსებული ტერიტორიის მცირედ ნაწილზე სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) .

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.19.34.003.174; №01.19.34.003.173; №01.19.34.003.172) და მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120318614-67(№01203041726-67), №01203432552-67, №01203431852-67(№01203102823-67), №01203391017-67, №01203372600-67 (სულ: 5 წინადადება) **დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 17 დეკემბრის **№12-032035241-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120318614-67(№01203041726-67), №01203432552-67, №01203431852-67(№01203102823-67), №01203391017-67, №01203372600-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 17 დეკემბრის **№12-032035241-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0120318614-67(№01203041726-67), №01203432552-67, №01203431852-67(№01203102823-67), №01203391017-67, №01203372600-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 დეკემბრის №12-032035623-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის №20.1525.1882 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01203451-67, №012025019-67, №01201823550-67, №01203152851-67, №01202612269-67, №01203432583-67).

1) განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01203451-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.359) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.359) საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №6 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.359) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

2) განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№012025019-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში ქერჩის ქუჩა №6 და ქერჩის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია (საკადასტრო კოდები: №01.11.05.029.167; №01.11.05.029.168; №01.11.05.029.212)

ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №6 და №6ა-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.167; №01.11.05.029.168; №01.11.05.029.212) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №387 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში ქერჩის ქუჩა №6 და ქერჩის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.11.05.029.167; №01.11.05.029.168; №01.11.05.029.212) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

3) განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01201823550-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა, №2/6; ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.009.042) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №2/6; ქალაქი თბილისი, ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის, ნაკვეთი 09/024-ზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.009.042) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენეიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №382 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, მიწის ნაკვეთის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.13.02.009.042 მიმდებარედ) არსებულ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1 (სპეც-1) შეიცვალა მომიჯნავედ არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა, №2/6; ლუბლიანას, ჩაჩავასა და ბელიაშვილის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.02.009.042) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, აგრეთვე, №01.13.02.009.042 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე

სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) მომიჯნავედ არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

4) განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01203152851-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.947) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.947) სასწავლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №384 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.947) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია;

5) განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01202612269-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მუხიანსა და ზღვისუბანს შორის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს, გობრონიძის ქუჩა №27-ის მიმდებარედ, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტო კოდები: №01.11.17.005.085; №01.11.17.005.087; №01.11.17.005.081; №01.11.17.005.115; №01.11.17.005.048; №01.11.17.005.025; №01.11.17.005.109) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე „ქალაქ თბილისში, ,ქალაქ თბილისში, მუხიანსა და ზღვისუბანს შორის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს, გობრონიძის ქუჩა N27-ის მიმდებარედ, არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.005.048; N01.11.17.005.085; N01.11.17.005.087; N01.11.17.005.081; №01.11.17.005.115; №01.11.17.005.025; №01.11.17.005.109) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 8 დეკემბრის №383 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხიანსა და ზღვისუბანს შორის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, დასახლება მუხიანი,

მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს, გობრონიძის ქუჩა N27-ის მიმდებარედ, დასახლება მუხიანი, მიკრო/რაიონი IV, რადიოქარხნის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტო კოდები: №01.11.17.005.085; №01.11.17.005.087; №01.11.17.005.081; №01.11.17.005.115; №01.11.17.005.048; №01.11.17.005.025; №01.11.17.005.109) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

6) განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01203432583-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, V კვარტალი, სანდრო ეულის №5, ჯიქიას ქუჩა №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.537) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე „ქალაქ თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქუჩა №5, საბურთალოს საცხოვრებელ რაიონში, V კვარტალში, სანდრო ეულის ქ.№5/ ჯიქიას ქ. №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი მიკრო - უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის 2014 წლის 31 მარტის №676 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №360 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, V კვარტალი, სანდრო ეულის №5, ჯიქიას ქუჩა, №10 ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.537) მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკის ზონირებაც.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01203451-67, №012025019-67, №01201823550-67, №01203152851-67, №01202612269-67, №01203432583-67) (სულ: 6 წინადადება) **დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 დეკემბრის **№12-032035623-03** წერილით წარმოდგენილი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01203451-67, №012025019-67, №01201823550-67, №01203152851-67, №01202612269-67, №01203432583-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 დეკემბრის **№12-032035623-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01203451-67, №012025019-67, №01201823550-67, №01203152851-67, №01202612269-67, №01203432583-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 21 დეკემბრის №12-032035627-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტიძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტიძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ცვლილება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და საერთაშორისო კომპანია Ramboll-ის შორის 2019 წლის 15 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლის ბენეფიციარიც არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

SUMP-ის შემუშავების პროცესში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია არსებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული, ურბანული და სატრანსპორტო პროექტების გათვალისწინება/გადააზრება. SUMP-ის გუნდი სხვა სატრანსპორტო მიმართულებასთან ერთად განიხილავს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში წარმოდგენილ პერსპექტიულ მაგისტრალებს, ხიდებს და სხვა საავტომობილო ინფრასტრუქტურას, რის საფუძველზეც გასცემს რეკომენდაციებს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ SUMP-ის შემუშავება საკმაოდ გრძელვადიან პროცესს გულისხმობს, რის გამოც მის მიერ გაცემული რეკომენდაციები წარმოადგენს მხოლოდ წინასწარი შეფასების შედეგებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებით, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე - რუკაზე (დანართი №1) არსებული პერსპექტიული მაგისტრალები ამოღებულ იქნება მდგრადი ურბანული მობილობის გეგმის (SUMP) მიერ არეალების საბოლოო დაზუსტებამდე, გარდა ჭიჭინაძის ქუჩა - ბაქრაძის ქუჩის დამაკავშირებელი მაგისტრალისა.

აღნიშნული ცვლილება ეხება ასევე პერსპექტიულ საავტომობილო ხიდებსაც, კერძოდ, არსებული 9 ობიექტიდან ამოღებული იქნება 4 ობიექტი. შესაბამისად. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დოკუმენტში შენარჩუნდება შემდეგი პერსპექტიული ობიექტები:

1.ვეფხვი და მოყმის ძეგლის მიმდებარედ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს დამაკავშირებელი ხიდი;

2.უნივერსიტეტის ქუჩა - წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელი ხიდი;

3.თამარ მეფის გამზირის და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდი;

4.ბოგდან-ხმელინცკის და რუსთავის გზატკეცილის დამაკავშირებელი ხიდი;

5.დ. ჭიჭინაძის ქუჩისა და დ. ბაქრაძის ქუჩის დამაკავშირებელი მაგისტრალი.

ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელებამ, ასევე, გამოიწვია ცვლილების აუცილებლობა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების ,,ა.კ'' ქვეპუნქტით დამტკიცებულ ,,თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკაში'' (დანართი №1.10).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 დეკემბრის **№12-032035627-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილი - რუკა (დანართი №1) და ,,თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა'' (დანართი №1.10)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 21 დეკემბრის **№12-032035627-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილი - რუკა (დანართი №1) და ,,თბილისის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა'' (დანართი №1.10)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე